განკარგულება:**გ-47.47212994**
თარიღი:**26/10/2021**

განკარგულება N47

ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე ელექტრონული აუქციონის ფორმით გაცემული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მცხოვრები დავით პაიჭაძესა (პ/ნ - 01019003713) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2020 წლის 24 იანვარს გაფორმებული სარგებლობის უფლების (იჯარა) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეცვლა/გაუქმების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტისა და 163^4 მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანახმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მცხოვრები დავით პაიჭაძესა (პ/ნ - 01019003713) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2020 წლის 24 იანვარს გაფორმებული სარგებლობის უფლების (იჯარა) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეცვლა/ გაუქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ, შემდეგზე რომ:

ა) ,,მოიჯრე“ დავით პაიჭაძე (პ/ნ - 01019003713) გათავისუფლდეს ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.2. პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობისაგან (ა),,იჯარის ობიექტი“ გამოიყენოს კულტურული ცენტრის ფუნქციონირებისათვისა (კინოთეატრის ფუნქციონირება; მეთოდური ცენტრის ფუნქციონირება; საგანმათათლებლო ლექციების ჩატარება) და მოსახლეობისათვის სარიტუალო მომსახურების მიწოდების მიზნით);

ბ) ხელშეკრულების 1.2. პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო პირობის (ბ) ,,იჯარის ობიექტზე“ სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადაში განახორციელოს თანდართული ხარჯთაღრიცხვით (თან ერთვის) გათვალისწინებული ღირებულების სამუშაოების ჩატარება - შენობის რემონტის, ეზოს კეთილმოწყობის და შენობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით) შესრულების ვადა გაგრძელდეს 2023 წლის 01 იანვრამდე;

გ) ,,მოიჯარე“ დავით პაიჭაძე (პ/ნ - 01019003713) გათავისუფლდეს 2021 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით არსებული ხელეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოსაგან.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში;

5.განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 20 სექტემბრიდან.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი